ა(ა)იპ „წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია“

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დირექტორის

ბრძანება

№241 **28 დეკემბერი 2022წ.**

სენაკი

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ

"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებისა საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის თანახმად ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას საგანგებო შტაბი, შემდეგი შემადგენლობით:
   1.1. საგანგებო შტაბის უფროსი - ნინო ჯანჯღავა
   1.2. ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი - რომან ბახტაძე
   1.3. მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე პასუხისმგებელი პირი - დემურ მილორავა
   1.4. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ია ოჩიგავა
   1.5. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი - ნათელა ხუნწარია
   1.6. საზოგადოებრივ წესრიგზე(დისციპლინური საკითხები) პასუხისმგებელი პირი - გიორგი შულაია

2. დამტკიცდეს წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად;

3. დაევალოს საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

4. შევიდეს ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ქ. სენაკის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ.247)

სკოლა-გიმნაზიის დირექტორი: **/ ნინო ჯანჯღავა /**

სარჩევი

I თავი. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა..... 4

II თავი. მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება 9

III თავი. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით..... 10

I თავი. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

1. შესავალი

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის საფუძველს. იგი უზრუნველყოფს, საობიექტო დონეზე შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს.

1.1. გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა.
- საობიექტო დონეზე საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს. ასევე, მართვის პროცესის განხორციელებას.

1.2. ძირითადი ტერმინები და განმარტებანი

საგანგებო სიტუაცია – ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, რომელსაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო;

საგანგებო სიტუაციის ზონა – განსაზღვრული ტერიტორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია;

საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშიშ საწარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით;

საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია – საგანგებო სიტუაციების გაერთიანებული სალიკვიდაციო ძალების მიერ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა და მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანის და ბუნებრივი გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზებისა და საგანგებო სიტუაციის წყაროს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით საგანგებო სიტუაციის ზონაში და მის მიმდებარე რაიონებში ყველა სახის სადაზვერვო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულება, ასევე ამ ძალების პირადი შემადგენლობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზება;

სახანძრო-სამაშველო დანაყოფები – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსადმი დაქვემდებარებული სახანძრო დაცვისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურების გაერთიანების შედეგად შექმნილი ძალები.

1.3. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის განთავსების ტერიტორიისა და შენობის აღწერა, ზოგადი მონაცემები

1.3.1.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: **საგანგებო შტაბის უფროსი;**

1.3.2. თანამშრომლების (პედაგოგები, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი): 85;

1.3.3. ა(ა)იპ „ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის“ იურიდიული მისამართია - ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. 116.

შენობა განთავსებულია მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, მას აღმოსავლეთით ესაზღვრება დევნილების კომპაქტური დასახლება, დასავლეთით და ჩრდილოეთით - წყალგამტარი არხი.

სკოლა-გიმნაზია განთავსებულია 3 სართულიან შენობაში, მანსარდით, რომელიც ნაგებია აგურით. სკოლა-გიმნაზიას გააჩნია ერთი ძირითადი და ოთხი სათადარიგო კარი, რომელიც გამოდის სკოლა-გიმნაზიის ეზოში. შენობაში არის 2 კიბე და ერთი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობა აღჭრვილია გათბობის ცენტრალური სისტემით. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს სატრაპეზო და სამზარეულო, ასევე სკოლა-გიმნაზიას აქვს საქვაბე. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ინახება ქიმიური (სასწავლო დანიშნულებით) ნივთიერებები. შენობა უზრუნველყოფილია უწყვეტი გაზმომარაგებით, წყლითა და ელექტროენერგიით. თითოეულ სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები. ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები ასევე განთავსებულია საქვაბეში და სამზარეულოში, ხოლო პირველ სართულზე არის ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი ინსტრუმენტებით. ეზოში მოწყობილია გამწვანების კუნძულები თავისი მოსასვენებელი სკამებით. ეზოში დგას ტაძარი. სკოლის წინ მოწყობილია ავტოსადგომი.

1.4. საგანგებო შტაბის შემადგენლობა და შტაბის წევრთა ფუნქცია-მოვალეობები

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს.

საგანგებო შტაბის უფროსს ბრძანებით ნიშნავს ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორი. შტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის წინაშე. იგი პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციის დროს მყისიერ რეაგირებაზე და შესაბამისი ღონისძიებები გატარებაზე, რათა უზრუნველყოს საზოგადოების დროული ინფორმირება და შესაბამისი პირების მზადყოფნაში მოყვანა საგანგებო სიტუაციის სამართავად.

საგანგებო შტაბის წევრები ასევე ვალდებულნი არიან საგანგებო სიტუაციის დროს მყისიერ რეაგირებაზე და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე. მათ უნდა მოახდინონ საზოგადოების დროული ინფორმირება, გეგმის დასახვა, მოხალისეთა აღჭურვა და მზადყოფნაში მოყვანა სამაშველო და გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად მიყენებული ზიანის მინიმუმად დასაყვანად.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები

№	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	სახელი, გვარი	თანამდებობა, რომელიც შტაბის წევრს უკავია სკოლა-გიმნაზიაში
1	საგანგებო შტაბის უფროსი	ნინო ჯანჯღავა	დირექტორი
2	ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი	რომანი ბახტაძე	უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელი
3	კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	ია ოჩიგავა	საქმისმწარმოებელი
4	პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი	ნათელა ხუნწარია	ექთანი
5	მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე პასუხისმგებელი პირი	დემურ მილორავა	დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში
6	საზოგადოებრივი წესრიგზე (დისციპლინური საკითხები) პასუხისმგებელი პირი	გიორგი შულაია	უსაფრთხოების დაცვის სამსახურის უფროსი
7	სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი	დენისი მილორავა	უსაფრთხოების დაცვის სამსახურის თანამშრომელი

საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები

1. **საგანგებო შტაბის უფროსი**

სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის წინაშე.

იგი პასუხისმგებელია:

- საგანგებო სიტუაციებისთვის მუდმივ მზადყოფნაზე;
- რეაგირების დაგეგმვაზე და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და საგანგებო/ომის შემთხვევაში.

მას ევალება:

სკოლა-გიმნაზიის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;

- პედაგოგებზე, მოსწავლეებზე და შენობის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება;
- დერეფნების და კლას-კაბინეტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა და მომზადება;
- პედაგოგთა, მოსწავლეთა და შენობაში მყოფ პირთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება;

- სკოლა-გიმნაზიაში ყველა დონის სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების სწავლების ორგანიზება და განხორციელება. სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც მისი არყოფნის პერიოდში ასრულებს სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსის მოვალეობას.

2. ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი

ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- შეიმუშაოს სკოლა-გიმნაზიის ევაკუაციის გეგმა;
- განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- ორგანიზება გაუკეთოს მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლაში სამსახურებრივად მყოფი სხვა პირების რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- იქონიოს კავშირი ქალაქის საგანგებო რეაგირების შტაბთან.
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიის რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციის საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარი ჰქონდეს მომზადებული მოსწავლეთა, პედაგოგთა და სკოლა-გიმნაზიაში სამსახურებრივად მყოფი სხვა პირების უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები.

ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:

შტაბის მიერ შემუშავებული განგაშის სიგნალით დროულად შეატყობინოს სკოლა-გიმნაზიის პერსონალს ევაკუაციის დაწყება;

3. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი

კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია :

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავებაში;
- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას;
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების და სკოლა-გიმნაზიის პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;
- სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიის საევაკუავიო გეგმის შედგენაში.

4. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი

პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- განუწყვეტლივ სრულყოფდეს პირად მომზადებას,სისტემატიურად ატარებდეს გეგმით გათვალისწინებულ სამედიცინო უსაფრთხოების თემებზე, როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ მეცადინეობებს ;
- სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის ტერიტორიაზე სისუფთავის და ჰიგიენის დაცვას;
- აღმოუჩინოს პირველი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს;
- საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულების შესახებ აწვდის ინფორმაციას მუნიციპალური სამედიცინო სამსახურის ჯგუფს.

5. მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე პასუხისმგებელი პირი

მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

იგი ვალდებულია:

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებით;
- იცოდეს სპეცაღჭურვილობის რაოდენობა, მისი შეძენისა და შენახვის პირობები და ვადები;
- სისტემატურად ახორციელებდეს სპეცაღჭურვილობის განახლებას;
- იცოდეს სკოლა-გიმნაზიაში მყოფ პირთა საერთო რაოდენობა ევაკუაციის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.
- სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლა-გიმნაზიის საევაკუავიო გეგმის შედგენაში.

6. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი

საზოგადოებრივი წესრიგზე (დისციპლინური საკითხები) პასუხისმგებელი პირი მომარაგებაზე ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

მას ევალება:

- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიული შეკრება;
- დაიცვას წესრიგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;
- უზრუნველყოს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება და წესრიგის დაცვა მისი განხორციელების პროცესში;
- პირად შემადგენლობასთან სასტემატიურად ჩაატაროს, გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობები;
- რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა.

7. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი

სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი ექვემდებარება სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბის უფროსს.

მას ევალება:

- სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილებზე სახანძრო-სამაშველო სამსახურის ტელეფონის ნომრების გამოკვრა.
- უფლებამოსილი პირის ბრძანებით დადგენილი უნდა ქონდეს ხანძარსაშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი, მათ შორის:

ა) ხანძრის შემთხვევაში და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ელექტრომოწყობილობების გამორთვის წესი;
ბ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული დროებითი და სხვა ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესი;
გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ სკოლა-გიმნაზიის დათვალიერების და დაკეტვის წესი, აგრეთვე ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში საევაკუაციო შტაბის ინფორმირების წესი;
დ) სკოლა-გიმნაზიის შენობის დასუფთავების, ნაგვის შეგროვების, შენახვის და გატანის წესი;
ე) ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების (სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების) წესი, დრო, სიხშირე.

II თავი. მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება

1. მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა

ბუნებრივი საფრთხეებიდან სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი. მათგან ყველაზე ხშირია ძლიერი წვიმები, რასაც მოყვება წყალდიდობები. ბოლო წლებში გაძლიერდა ძლიერი ქარები და გახანგრძლივდა გვალვა.

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში (ქალაქში). მას აღმოსავლეთით ესაზღვრება აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური დასახლება, დასავლეთით და ჩრდილოეთით - წყალგამტარი არხი. ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით შენობა გამართულია. შენობაში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები და სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებს. ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. დაცულია ელექტროუსაფრთხოების სტანდარტები და მოთხოვნები. მინიმუმადეა დაყვანილი რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნის ალბათობა, თუმცა მოსალოდნელ საფრთხეებს წარმოადგენს: **წყალდიდდობა/წყალმოვარდნა, ქარიშხალი და ხანძარი.** როგორც რისკების შეფასებით იქნა დადგენილი წინა წლებში ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარიშხალს და წყალდიდობას, რომელსაც მოჰყვა ინფრასტრუქტურის ნგრევა, საცხოვრებელი სახლებისა თუ დაწესებულებების დატბორვა და დიდი ეკონომიკური ზარალი. საფრთხე შეიძლება განმეორდეს და მისი პრევენციისთვის ტარდება თანამშრომლებისა და მოსწავლეების ინფორმირება სხვადასხვა შეხვედრებზე.

2. რისკების შეფასების შედეგები

რისკების შეფასების ღონისძიებების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

რისკი №1 - წყალდიდობა/წყალმოვარდნა

აღწერა: ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას ორი მხრიდან ესაზღვრება წყალგამტარი არხი, რომელიც ძლიერი წვიმებისა და არხის დაბინძურების შედეგად ვერ ატარებს მოვარდნილ წყალს და წინა წლების გამოცდილებიდან არის საშიშროება დაიტბოროს სკოლა-გიმნაზიის ეზო და პირველი სართული.

რისკი №2 - ქარიშხალი

აღწერა: ქ.სენაკის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი ქარიშხალი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა-გიმნაზიის შენობა საკანონმდებლო მოთხოვნებს შეესაბამება, ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკების და საფრთხეების გამორიცხვა შეუძლებელია.

რისკი №3 - ხანძარი

აღწერა: სკოლა-გიმნაზიაში ხანძრის წარმოქმნის ალბათობა მინიმუმადეა დაყვანილი, გამომდინარე იქიდან, რომ შენობა გამართულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემით და დანერგილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების და რეგულაციების აღსრულების კონტროლის მექანიზმი, თუმცა ხანძრის გაჩენის საფრთის გამორიცხვა დაუშვებელია.

3. **საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა**

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი №1 რისკის მიხედვით - წყალდიდობა/წყალმოვარდნამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა კომუნალური სისტემების მწყობრიდან გამოყვანა, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება და განადგურება.

სცენარი №2 რისკის მიხედვით - ძლიერმა ქარიშხალმა შეიძლება გამოიწვიოს უმართავი სიტუაცია. კერძოდ, საფრთხე შეექმნება შენობის გაყვანილობებს, შესაძლებელია გადახადოს სახურავი, დააზიანოს ენერგო და გაზმომარაგების საშუალებები და მაგისტრალები.

სცენარი №3 რისკის მიხედვით - ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს აფეთქებები, გადაიწვას ელექტროსისტემა, ცეცხლი მოეკიდოს შენობას. ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანთა მსხვერპლიც.

III თავი. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმის საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით. საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით.

ფაზა 1. პრევენცია

1.1 გასატარებელი ღონისძიებები რისკი №1 -ის მიხედვით
წყალდიდობა/წყალმოვარდნა

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	წყალდიდობია/წყალმოვარდნისას მოქმედებების ინტრუქციის შემუშავება/კორექცია	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	შენობის კონტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	შენობის მომიჯნავე წყალგამტარი არხის მდგომარეობის დათვალიერება	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
4	შშმ პირებისთის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

1.2 გასატარებელი ღონისძიებები რისკი №2-ის მიხედვით
ქარიშხალი

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ქარიშხალისას მოქმედებების ინტრუქციის შემუშავება/კორექცია	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	შენობის კონტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	შშმ პირებისთის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

1.3 გასატარებელი ღონისძიებები რისკი №3-ის მიხედვით
ხანძარი

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ხანძრისას მოქმედებების ინტრუქციის შემუშავება/კორექცია	თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) და სისტემების (საგანგაშო მაუწყებლობის,სისტემის) გადამოწმება	თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	ელექტრო სისტემის გადამოწმება	თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
4	დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება	თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
5	შშმ პირებისთის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

ფაზა II. მზადყოფნა

ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის საგანგებო შტაბი მუდმივად იხილავს პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოების საკითხებს, აახლებს საევაკუაციო გეგმას. მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა სცენარი №1 მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება წყალდიდობა/წყალმოვარდნასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
4	სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
5	კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
6	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
7	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა - დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
8	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა სცენარი №2 მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ქარიშხალთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
4	სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
5	შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
6	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
7	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა - დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
8	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა სცენარი №3 მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	შტაბის წევრებისათვის სათანადო (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
2	თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
3	სახანძრო სფეროში პერსონალისთვის ხანძრის ჩაქრობის იმიტირებული სწავლებების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
4	საევაკუაციო წვრთნა	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
5	სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
6	შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
7	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
8	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა - დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	
9	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	

ფაზა III. რეაგირება

3.1. შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილებზე **(დანართი 1)**

3.2.**ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით:**

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება	3წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
2	სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	3წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
3	საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	10წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
4	სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში კომპეტენტური პირების და ტექნიკის ჩართვა	15წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
5	ხალხის აღრიცხვა	15წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად
6	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	5წთ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	დრო მითითებულია პირობითად
7	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	5წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად

3.3. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება	3წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
2	სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	3წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
3	საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	10წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
4	სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში კომპეტენტური პირების და ტექნიკის ჩართვა	15წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
5	ხალხის აღრიცხვა	15წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად
6	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	5წთ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	დრო მითითებულია პირობითად
7	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	5წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად

3.4. ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება	3წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
2	სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	3წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
3	საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	10წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად
4	სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში კომპეტენტური პირების და ტექნიკის ჩართვა	15წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად
5	ხალხის აღრიცხვა	15წთ	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად
6	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	5წთ	საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი	დრო მითითებულია პირობითად
7	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	5წთ	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად

განგაშის ზარი

1. საგანგებო სიტუაციების განვითარებისას ირთვება განგაშის ზარი;
2. განგაშის ზარი არის განსხვავებული ტონალობის;
3. განგაშის ზარის ხანგრძლივობა გრძელდება 1-დან 2 წუთამდე უწყვეტი სახით.

საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცხელი ხაზი 112